საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ტელ.: 2 98 74 30 23.08.2017
070194333239617

# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1759 2017 წლის 22 აგვისტო ქ. თბილისი

## „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1216 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება, განკარგულების ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 169 969 (ას სამოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდაცხრა) ლარი საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში, ღვინისა და მეღვინეობის საყოველთაო ისტორიასთან

შემოსვლის N 13818
23 08 2017 წ.
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

დაკავშირებულ გამოფენაზე – „საქართველო მეღვინეობის აკვანი“ პროექტ „სუფრის“ განხორციელების მიზნით.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი